სერტიფიკატის აღების პროცედურა, ვადები და მოსაკრებელი

სერტიფიკატი გაიცემა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს რაიონული სამსახურის ვეტერინარი ინსპექტორის მიერ სამუშაო დღეებში (09:00სთ/18:00სთ), სერტიფიკატის აღებიდან ცხოველმა/ფრინველმა საქართველოს ტერიტორია უნდა დატოვოს 72 საათის განმავლობაში (ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გაყვანის შემთხვევაში, სერტიფიკატის აღებიდან 10 დღის ვადაში), ხოლო თუ სერტიფიკატში აღნიშნული მონაცემები არ არის შეცვლილი, საზღვირს გადაკვეთის შემდეგ, აღნიშნული სერტიფიკატის მოქმედების ვადაა 90 დღე (ევროკავშირის შემთხვევაში 4 თვე, თუ ცოფის ვაქცინაციის ვალიდობის პერიოდი არ არის გასული).

ვეტერინარული სერტიფიკატის ასაღები პროცედურები და დოკუმენტაცია:

1. განაცხადი;
2. განმცხადებლის პირადობის ასლი (ან მინდობილი პირის პირადობის მოწმობის ასლი და მინდობილობა);
3. ცხოველის ფიზიკური შემოწმება (სართიფიკატის აღების დროს ცხოველის მოყვანა აუცილებელია);
4. ცხოველის პასპორტი, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: ცხოველის მეპატრონე, ცხვოველის სახელი, ინფორმაცია ცხოველის ვაქცინაციისა და სხვა მანიპულაციების შესახებ.
5. ევროკავშირის ქვეყნებში გასაყვანად საჭიროა, ცხოველები იყვნენ ცოფზე აცრილები და განმცხადებლებმა წარმოადგინონ ტიტრაციის ტესტი, რომლის კვლევაც უნდა მოხდეს ვაქცინაციის თარიღიდან არანაკლებ 30 დღის შემდეგ და იმპორტის თარიღამდე არანაკლებ 3 თვით ადრე;
6. თანამეგობრობის ქვეყნებში გასაყვანად საჭიროა სახელმწიფო ან კერძო ვეტერინარი ექიმისაგან ცნობა (21 დღიანი კარანტინი) ცხოველის ჯანმრთელობის შესახებ;
7. სერტიფიკატი გაიცემა მხოლოდ იმ ცხოველებზე, რომლებიც ვაქცინირებული არიან ცოფზე და ევროკავშირის ქვეყნებში გაყვანის შემთხვევაში, გაკეთებული აქვთ ტიტრაციის ტესტი;
8. მოსაკრებელი - 300 ლარი;
9. სერტიფიკატი არ გაიცემა 3 თვემდე და ცოფზე არავაქცინირებულ ცხოველებზე.

ევრაზიის კავშირის სერტიფიკატი

კარანტინი - კარანტინში განთავსების ვადა განისაზღვრება იმპორტიორი ქვეყნის მოთხოვნის შესაბამისად. ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ცხოველებზე საკარანტინო ვეტერინარულ ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტო, ან შესაძლებელია, წარმოდგენილი იქნეს კერძო ვეტერინარი ექიმის ცნობა, რომლითაც დასტურდება ცხოველების კარანტინში განთავსების ფაქტი. სააგენტოს მიერ კარანტინის დაწესება ხდება მოქალაქის განცხადების საფუძველზე, რომელმაც უნდა წარმოადგინოს მოსაკრებლის ქვითარი, ცხოველის პასპორტი.

საკონტაქტო პირი: ბაკურ თევდორაძე

ტელეფონი: +995 577080742

შენიშვნა: ევროკავშირის მიერ აკრედიტებული ლაბორატორიებიდან საქართველოში წარმომადგენლობა ჰყავს ლიმბახის ლაბორატორიას (http://ec.europa.eu/food/animal/liveanimals/pets/approval_en.htm).